

მისამართი

ქ. თბილისი
ბზითაგორის #56
ს.კ 01.19.20.016.004

ზომები მოცემულია მილიმეტრებში

სტადია

არქიტექტურა

ზოგადი შენიშვნები

1 . იატაკის ზედაპირები მოეწყობა ისე, რომ იქნება მდგრადი, მყარი და არასრიალა.
2 . ბანათების ელექტრო სამართავები, ჩამრთველები და დენსართები, თემპერატურის მარეგულირებლების სამართავები, წყალსადენი სისტემების მოწყობილობების მარეგულირებლები და დამცავი , ორმხრივი საკომუნიკაციო სისტემების სამართავები მოეწყობა სტანდარტების 309-ე ქვეთავის შესაბამისად.
3 . იატაკის ზედაპირი იქნება ბეტონის ან სხვა არანგვადი მასალის

საორიენტაციო ნახაზი

დამკვეთი

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი

ნახაზი

შენობის განთავსების სქემა

პრ.ავტ.	ა. კაჭკაჭიშვილი
არქიტ.	
არქიტ.	
შეამოწმა	ლ. ლომინაშვილი
თარიღი	17.12.2024
ფორმატი	A3

ფურცლები ფურცელი

მასშტაბი

საექსპერტო დასკვნა

შპს “Green BuilDers”

08.12.2024

ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. #16, საკონტაქტო ნომერი: 2-83-86-87 / 568-37-84-48; E-mail : GreenBuilDers2019@gmail.com
www.GreenBuilDers.ge

საექსპერტო დასკვნა : №24/1012

დასკვნის მომზადების თარიღი 08.12.2024

მისამართი : ქ. თბილისი, ბრილების ქუჩა #8 (სკ 01.19.20.016.082)

დამკვეთი : სსიპ იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 14

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარეები : 12

#	სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა
1	დაფნა (Laurus)	5.3	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას, მრავალღეროიანი
2	თუთა (Morus)	13.2	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას, ორკაპა
3	შინდი (Cornus)	16.3	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას, ორკაპა
4	შინდი (Cornus)	10.6	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას, მრავალღეროიანი
5	ბროწეული (Punica granatum)	11.4	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
6	შინდი (Cornus)	12.7	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას, მრავალღეროიანი
7	ცაცხვი (Tilia)	22.3	5	ზეხმელი	
8	თუთა (Morus)	46.4	5	ჯანსაღი	ადრე გადაჭრილი ამანაყარით
9	ლეღვი (Ficus carica)	6.5	2	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას, მრავალღეროიანი
10	შინდი (Cornus)	2.4	1.5	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას, მრავალღეროიანი

11	დაფნა (Laurus)	5.8	2	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას, ორკაპა
12	შინდი (Cornus)	4.8	5	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას, მრავალღეროიანი
13	კაკალი (Juglans regia)	15.2	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას
14	კაკალი (Juglans regia)	21.4	5	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას და გახარებას

25 სმ–მდე ხე–მცენარეების გადარგვა :

ხე–მცენარის გადარგვამდე, უნდა მოხდეს გადასარგავი ორმოს ამოღება, რომლის სიდიდე დამოკიდებულია ხე–მცენარის მოცულობით ზომებზე და ხნოვანებაზე. ამოღებული ორმოში უნდა მოხდეს მიწის ნოყიერი მასის, სერტიფიცირებული და ბიოლოგიური სასუქების შეტანა.

გადასარგავი ხე–მცენარის ნიადაგიდან ამოღება უნდა მოხდეს მისი ფესვთა სისტემის დაუზიანებლად, უმჯობესია მოხდეს მიწის კომი ფიქსირება სპეციალური დამცავი კონსტრუქციით (მაგ. ჯვალო).

დარგვის დროს არ უნდა დაიშალოს მიწის კომი, არ დაზიანდეს ხე–მცენარის ღერო, ფესვთა სისტემა და ვარჯი.

ხე–მცენარის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს ფიქსირება რამდენიმე მხრიდან, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად,ხე–მცენარის სიდიდიდან გამომდინარე.გადარგული ხე–მცენარის მიწა იტკეპნება, ხოლო დარგულიხე–მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი.
ხე–მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.
ხე–მცენარის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მცენარის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთხელ. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის ზომაზე, ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს.
რეკომენდირებულია ხდებოდეს მცენარის მიწისზედა ნაწილების დაწვიმება. (ფოთლები, წიწვები) დაწვიმებასთან ერთად შესაძლებელია მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შერევა წყალთან ერთად.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, ხოლო ყინვების პერიოდში უნდა მოხდეს ჯამების დახურვა, რათა თავიდან იქნას აცილებული მცენარის ფესვთა სისტემის გაყინვა. ასევე საჭიროა სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვანი ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება.ხე–მცენარისგადარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზედაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

გადარგულ ხე–მცენარეს დროთა განმავლობაში უნდა ჩაუტარდეს სხვლა–ფორმირება, ხმელი ტოტების მოშორების, ფესვთა სისტემის გაძლიერების და ვარჯის არასწორი განვითარების თავიდან აცილების მიზნით.

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით.



დირექტორი ცირა ჯაფოშვილი

ექსპერტი თეიმურაზი ნაფეტვარიძე


1


2


3


4


5


6


7


8


9


10


11


12


13


14